

სკოპინგის დასკვნა N44

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ (ს.ნ 416311707);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაკლია;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 21.05.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ენვიროთრასთ გრუპი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ-სააგენტო) შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანიის“ მიერ, წარმოდგენილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიაში მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანიის“ მეტალურგიული საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 5 მარტს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-266).

2023 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანიის“ მეტალურგიული საწარმოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №078977 და №079192 ოქმები, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლოს 2023 წლის 31 ოქტომბრის №4-674-23 დადგენილებით, №079192 ოქმის განხილვის შედეგად შეწყვიტა სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ხოლო №078977 ოქმის განხილვის შედეგად შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა. ამასთან, შპს „რუსთავი სთილ

კორპორეიშენ კომპანის“ მეტალურგიულ საწარმოზე 2021 წლის 5 მარტის N2-266 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2024 წლის 18 სექტემბრის №004047 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მეტალურგიული საწარმო მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ აღთაკლიაში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.06.21.453; 81.06.21.497; 81.06.21.467). ასევე, მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.06.21.458). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 680 მ (სოფ. აღთაკლია), ხოლო უახლოესი ზედაპირულ წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) - 850 მეტრით. მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით გადის რკინიგზის ჩიხი. სამხრეთ-აღმოსავლეთით განთავსებულია წყლის ხელოვნური წყალსატევი და შპს „ოსტატის სახლის“ გაზსადენი მილი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ ნედლეულის დასაწყობების უბანს (ს/კ: 81.06.21.467) კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (ს/კ: 02.00.952). ამასთან, საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე ობიექტები, მათ შორის, შპს „სანიტარი“, შპს „ალგეთი“, შპს „პეტროლჰაბი“, შპს „სამთო კომპანია ფარავანპერლიტის“ სამშენებლო მასალებისა და პერლიტის პროდუქციის საწარმო (სააგენტოსთან შეთანხმებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში), შპს „ე.ჯ.ლ“, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედ“, შპს „MEV SANAYI VE TICARET“, შპს „სტორი ფაუერი“, შპს „იუნაიტედ ფუდს“, შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანია“, სს სამშენებლო კომპანია „თბილისი“.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, განხილულია დაგეგმილი საქმიანობის არაქმედების და ტექნოლოგიური ალტერნატივები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ხოლო ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა ინდუქციური ღუმელების დამონტაჟებას და მათზე მტვერდამჭერი სისტემების - სახელობიანი ფილტრების მოწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ვინაიდან მეტალურგიული საწარმო მოწყობილია, ადგილმდებარეობის ალტერნატივის განხილვა არ მომხდარა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე წარსულში განთავსებული იყო ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა (ნავთობპროდუქტების ბაზა), რომლის დემონტაჟის შემდგომ მოეწყო მეტალურგიული საწარმო. შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მეტალურგიული საწარმო ახორციელებს მეტალის ჯართის დამუშავებასა და მისგან პროდუქციის (არმატურა) მიღებას. საწარმო აღჭურვილია ყველა საჭირო კომუნიკაციით და მისასვლელი გზით. მეტალურგიული საწარმოს ფუნქციონირებისთვის ტერიტორიაზე განთავსებულია საოფისე შენობა, ლაბორატორია, ფოლადსადნობი საამქრო (8 ინდუქციური ღუმელი), ფოლადსაგლინავი საამქრო, ნედლეულის (ჯართის) დასაწყობების და ჭრის უბანი, ტექნიკური წყლის რეზერვუარი, დამხმარე მასალების და მზა პროდუქციის საწყობი. ასევე მოწყობილია ამწე, აირგამწმენდი სისტემა და ელ. ენერგიის სატრანსფორმატორო უბანი.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება N2-266), საწარმოს ძირითად დანადგარებად გათვალისწინებული იყო 3 ცალი 3 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელები, რომლებიც მეტალის დნობის პროცესში ენერგიად გამოიყენებდა ელექტროენერგიასა და ჟანგბადს. თითოეული ღუმელის მუშაობის რეჟიმი წარმოადგენდა 3334 სთ/წელ და 30000 ტ/წელ (9 ტ/სთ) ნადნობის მიღება. ელექტრორკალურ ღუმელში ფოლადის დნობა უნდა განხორციელებულიყო ელექტრორკალის მეშვეობით, რომელიც წარმოიქმნებოდა გრაფიტის ელექტროდსა და ჯართს შორის ძაბვის სხვაობის ხარჯზე. ღუმელში დნობის პროცესის დასაჩქარებლად, ჟანგბადთან ერთად, დაგეგმილი იყო ნახშირის გამოყენება. ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, საიდანაც გამოსული წყალი ჩაშვებული იქნებოდა საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე მშრალ ხევში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოში 3 ცალი ელექტრორკალური ღუმელის ნაცვლად დამონტაჟდა 8 ცალი (4 ფუნქციური, 4 სათადარიგო) ინდუქციური ღუმელი, რომელთა ჯამური წარმადობა შეადგენს 10.5 ტ/სთ და ენერგიის მთავარი წყარო ელექტროენერგიაა. ინდუქციური ღუმელები იმუშავებენ 2560 სთ/წელ (8 საათიანი სამუშაო რეჟიმით). საწარმოში წლიურად მიიღება 26880 ტონა (10.5 ტ/სთ) ნადნობი და იწარმოება იმავე რაოდენობის სხვადასხვა მარკის და დიამეტრის არმატურა. საწარმოში მუდმივად დასაქმდება 48 ადამიანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ასევე ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვას. საწარმოში ასევე განთავსდება 20 მ³ მოცულობის საწვავის რეზერვუარი, რომელიც აღჭურვილი იქნება საწვავის მარიგებელით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით, 26880 ტონა პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული იქნება 31100 ტ/წელ რკინის ჯართი. ნედლეული შემოდის ავტოტრანსპორტის საშუალებით, ქვეყანაში არსებული ჯართის მიმღები პუნქტებიდან და იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ახორციელებენ ჯართის შეგროვებას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნედლეულის დასაწყობების უბანზე (ს/კ:

81.06.21.467) მოხდება ჯართის დახარისხება, შემოწმდება ფეთქებად (ამორტიზატორები, დახურული და ზეთიანი საგნები და ა.შ) საგნებზე და აირული ჭრის აპარატების საშუალებით დაიჭრება ინდუქციური ღუმელებისთვის საჭირო ზომებად. მომზადებული კაზმი ამწის საშუალებით მიეწოდება ინდუქციურ ღუმელებს დნობისთვის, სადაც 1730⁰-ზე მოხდება დნობა. ტექნოლოგიურ პროცესში კაზმს დაემატება რკინის მეორადი ხენჯი და საჭიროების შემთხვევაში - ფეროშენადნობი და ალუმინი. ინდუქციურ ღუმელში გამდნარი თხევადი ფოლადი გადაიტვირთება ციკხვ ღუმელში, ფოლადისთვის საჭირო ფიზიკური და ქიმიური თვისებების მისანიჭებლად ფეროშენადნობების (ფერო-მანგანუმი ან/და ფერო-სილიციუმი) დამატების მიზნით. თხევადი ფოლადის მიწოდება ხდება უწყვეტ ჩამოსასხმელ მანქანაზე და გარდაიქმნება მყარ ნამზადად. ციკხვი ღუმელის შემდეგ ლითონის სხმული კონვეიერის საშუალებით მიეწოდება საგლინავ დგანს, რის შემდგომაც პროდუქცია იჭრება, საწყობდება და ხდება რეალიზაცია.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მეტალურგიული საწარმოს ელექტრომომარაგება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული 2100 კვტ სიმძლავრის სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურის და ტრანსფორმატორების (TS1, TS2, TS3-თითოეულის სიმძლავრეა 2500 კვტ) საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო მიზნებით წყლით მომარაგება გათვალისწინებულია უახლოესი დასახლებიდან. საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის ტერიტორიაზე გათვალისწინებული სამი რეზერვუარის მოწყობა (240 მ³ და 128 მ³ მოცულობის ტექნიკური წყლის აუზები და ერთი 37 მ³ მოცულობის რკინის რეზერვუარი). ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება ხდება ღუმელების ბრუნვითი გამაგრებელი სისტემისთვის და საგლინავი ხაზისთვის, სადაც ხორციელდება ლითონის გაგრილება. ტექნიკური წყლის დანაკარგების შევსება განხორციელდება მომიჯნავე ტერიტორიაზე მოწყობილი ტექნიკური ტბორებიდან. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია 14 მ³ ჯამური მოცულობის ბეტონის საასენიზაციო ორმოებში, რომელთა დაცლა განხორციელდება საასენიზაციო მანქანის საშუალებით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოო ტერიტორიიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში. ჯართის საწყობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები იკრებება შეძვრებ არხებში და შემდგომ ნავთობდამჭერში, საიდანაც გაწმენდილი წყალი გადადის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური წყლის რეზერვუარებში და გამოიყენება საწარმოო მიზნებისთვის, ხოლო შენობის სახურავებიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები მოხვდება სანიაღვრე არხებში.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი

ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად და ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოში წარმოიქმნება წელიწადში დაახლოებით 50 ტ წიდა და 12 ტ მტვერი. წიდის განთავსება მოხდება სპეციალურად მოწყობილ მოედნებზე (დროებით დასაწყობების ობიექტი), საიდანაც გატანილი იქნება სამშენებლო მასალების წარმოებისთვის, ხოლო აირგამწმენდი სისტემის ბუნკერში დაგროვილი მტვრის განთავსება მოხდება ბიგ-ბეგებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წარმოქმნასთან და ხმაურის გავრცელებასთან. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის მყარი შეწონილი ნაწილაკებით (მტვერი) დაბინძურება გამოწვეული იქნება ჯართის დახარისხება-დამუშავებით და ღუმელში ჩატვირთვით, ელექტროინდუქციური ღუმელის მუშაობით, მათ შორის, ღუმელში ჯართის ჩატვირთვის, დნობის, ღუმელიდან ციცხვ-ღუმელში გადატანისა და გლინვის დროს. საწარმოში ინდუქციურ ღუმელებზე დამონტაჟებულია სახელობიანი ფილტრები, 99%-იანი მტვერდაჭერის ეფექტურობით. გამწმენდიდან გამოსული აირნარევის გაფრქვევა ატმოსფეროში მოხდება 20 მ სიმაღლის მილის (დიამეტრით 1.8 მ) საშუალებით. ფილტრის ქვეშ განლაგებულ ბუნკერებში შეგროვებული მტვერი ამოღებული და განთავსებული იქნება ჰერმეტიკულ ბიგ-ბეგებში, რომლებიც დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე გამოყოფილ ადგილას.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო იქნება ტერიტორიაზე მოძრავი სატვირთო ავტომანქანები და ავტოდამტვირთველი. ხმაურის გამომწვევი დანადგარები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი გაანგარიშებები წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. საწარმო მოწყობილია ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან, ხმაურის წარმოქმნასთან და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებასთან. საწარმო მდებარეობს სამრეწველო ზონაში, სადაც 500-მეტრიან

ზონაში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე საწარმოები, მათ შორის, შპს „სანიტარი“, შპს „ალგეთი“, შპს „პეტროლჰაბი“, შპს სამთო კომპანია „ფარავანპერლიტი“, შპს „ე.ჯ.ლ“, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედ“ და სხვ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს, ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 16 ივნისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „ენვიროთრასტ გრუპის“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა არასასურველი სუნის გავრცელებისა და უწყვეტი მონიტორინგის სისტემის არსებობის საკითხებს. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე განმარტებები გააკეთეს შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ და შპს „ენვიროთრასტ გრუპის“ წარმომადგენელმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საწარმოში მიმდინარე საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების დეტალური აღწერა. ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ობიექტების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით საწარმოს განახლებული გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით, არსებული და საპროექტო დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობების/უზნების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;

- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობების მითითებით);
- საწარმოს საქმიანობის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე). ასევე, ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებული დანადგარების, ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ (დანადგარების საპასპორტო მონაცემების მითითებით, ტექნოლოგიური სქემების მითითებით), გენ-გეგმაზე ასახვით (გენ-გეგმაზე ასევე დატანილი უნდა იყოს საწარმოო ხაზები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- ინფორმაცია საწარმოში არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზების წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულის შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ. ამასთან, ნედლეულის საწყობები უნდა აისახოს გენ-გეგმაზე;
- ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი სახეობისა და რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. ამასთან, მზა პროდუქციის განთავსების ადგილები/საწყობები უნდა აისახოს გენ-გეგმაზე;
- ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში - ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ; (მაგ: დაბალი სიჩქარე, მარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);

- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირითა ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ (გამოსაყენებელი რაოდენობების მითითებით);
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (წიდა, ხენჯი, მტვერი და სხვა) შესახებ (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა, ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები და ა.შ), მათი შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია საწარმოში მისაღები ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა) შესახებ. ასევე, ზემოაღნიშნული ნარჩენების მართვისთვის განსაზღვრული აღდგენა/განთავსების ოპერაციის კოდი;
- დეტალური ინფორმაცია წარმოქმნილი წიდის რაოდენობის, წიდის ლაბორატორიული კვლევის შედეგების, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია ობიექტზე წყლის გამოყენების (მათ შორის, ბრუნვითი წყალმოხმარების) შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე და ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის, წიდის განთავსებისა და ჯართის მიღება-დამუშავების უბნებზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ (შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით);
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ასევე, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით), მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი. ასევე, ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიმართულებით;
 - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის/გამოყენების შესახებ, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;
 - საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში დადგენილი უნდა იყოს ყველა საწარმო, რომელთა მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა სახეობები საკვლევი ობიექტის მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების იდენტური იქნება. ასეთის არსებობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედება საკონტროლო ობიექტების მიმართ;
 - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით), მათ შორის, მტვერდამჭერი სისტემის (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით), აღნიშნული მოწყობილობების პარამეტრების დაცვისა და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის, მათ შორის, ფილტრების დროული

გამოცვლის, მტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ დაჭერილი მტვრის და მისი მართვის (მათ შორის, კვლავ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის) შესახებ;

- ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე კანონმდებლობით დადგენილი მონიტორინგის მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები 500-მეტრიან რადიუსში მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ინფორმაცია შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილი უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასება. სუნის გავრცელების პოტენციური წყაროების იდენტიფიცირება და შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები განსაზღვრა;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის, ნარჩენების მართვის გეგმა);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით). ასევე კუმულაციური

ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;

- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, ნედლეულის დასაწყობების უბანს (ს/კ: 81.06.21.467) კვეთს 110 კვ ძაბვის სატრანზიტო ელექტროგადამცემი ხაზი - „რუსთავი-2ა“ (ს/კ: 02.00.952), რომელიც აკავშირებს ქვესადგურ „ნავთლულ 220-ს“ ქვესადგურ „რუსთავი 220“-თან. შესაბამისად, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“-მ უნდა იხელმძღვანელოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- გარდა ამისა, წარმოდგენილ Shp ფაილებში არ არის მოცემული ნედლეულის დასაწყობების უბანი (ს/კ: 81.06.21.467), რაც გზშ-ის ეტაპზე უნდა დაკორექტირდეს. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდები, სიტუაციური სქემები, GPS კოორდინატები და Shp ფაილები შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმო განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 81.06.21.458. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს;
- საწარმოს ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ობიექტები, რომელთა შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ფუნქციური დატვირთვის შესახებ) სკოპინგის ანგარიშში არასრულადაა წარმოდგენილი. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ რადიუსში არსებული ობიექტებისა და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ, სიტუაციურ სქემაზე ჩვენებით;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით გადის შპს „საქართველოს რკინიგზას“ სარკინიგზო ხაზი. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კომუნიკაციის ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური დანიშნულების წყლით მომარაგება ხორციელდება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით, რომლის წყლით შევსება გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული ხელოვნური წყალსატევიდან, რომელიც მარაგდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული კოლექტორიდან. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით, აღნიშნული ხელოვნური წყალსატევი, რომელიც მდებარეობს შპს „სანიტარის“ ტერიტორიაზე, არ ირიცხება კომპანიის კაპიტალში. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ, მათ შორის, შესაბამის კომპანიასთან/ორგანიზაციასთან შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის ამსახველი) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „აირგამწმენდი სისტემის ბუნკერში დაგროვილი მტვრის განთავსება მოხდება ბიგ-ბეგებში და ჰერმეტიკულად დახურულ მდგომარეობაში გატანილი იქნება საბოლოო განთავსების ადგილზე.“ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მტვრის მართვის შესახებ, საბოლოო განთავსების ადგილმდებარეობის მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშში საწარმოს გენ-გეგმა წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სქემატური ნახაზები და სურათები მაღალი გარჩევადობით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი წიდის განთავსება მოხდება სპეციალურად მოწყობილ მოედნებზე (დროებითი დასაწყობების ობიექტი), საიდანაც დაგროვების შესაბამისად გატანილი იქნება სამშენებლო მასალების წარმოებისთვის. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია წიდის შემდგომი მართვის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია 20 მ³ მოცულობის საწვავის რეზერვუარის განთავსება, რომელიც აღჭურვილი იქნება საწვავის მარიგებელით. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას დაზუსტებული ინფორმაცია რეზერვუარების შესახებ (რაოდენობის, განთავსების ადგილისა და პარამეტრების მითითებით), ასევე ნავთობპროდუქტების დაღვრის რისკების შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის, დაღვრის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობა, შემოზვინვა ან/და სხვ.);
- საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აისახოს 2021 წლის 5 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-266) ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი;

- დეტალური ინფორმაცია (ცხრილის სახით) საწარმოში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის, გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. აღთაკლიაში, მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.